ჟურნალის რედკოლეგია ულოცავს ჩვენს კოლეგას და უფროს მეგობარს, პროფესორ რევაზ გოგოხიას 80 წლის იუბილეს და უსურვებს ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წარმატებებს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

პროფესორი რევაზ გოგოხია – 80

ბატონო რევაზ!

დიდო მამულიშვილო! ადამიანური კეთილშობილებითა და სიყვარულით დახუნძლულო, თანასწორთა შორის პირველოსანო, ყველასათვის მისაღებო და ყველას მოსიყვარულე, ყოველივე ქართულზე უკიდეგანოდ შეყვარებულო ჭეშმარიტო ერისკაცო, დიდო მეცნიერო, ოჯახის ბურჯო, ძმაო და მეგობარო, ჩემო რევაზ! იხარე, იმრავლე, ბედნიერ ქნას შენი ჯიში და ჯილაგი აწ და მარადის...

დალოცვილია 28 აპრილის ის მშვენიერი დღე, როცა ბატონი რევაზი, ჩვენი დღევანდელი იუბილარი, მოევლინა ამ ქვეყანას. სამეგრელოს მშვენიერ სოფელ ფახულანში, მეგრული ფაცხის ოდაბადეში იწყება ამ დიდებული ქართველის მიერ სოციალური მწვერვალების დალაშქვრის წარმატებული გზა: სკოლა – ოქროს მედლით, შემდგომ – ასპირანტურა და დოქტორანტურა, შედეგი – აკადემიური ხარისხები და წოდებები: – ჯერ ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო შემდგომ დოქტორის, დოცენტის, უფროსი მეცნიერთანამშრომლის, პროფესორისა და ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის. რა დიდებული გზაა განვლილი ჩვენი იუბილარის, – ბატონი რევაზის მიერ, სულ „რაღაც 80 წლის" განმავლობაში. თავისთავად, ცარიელ ადგილას, ავტომატური რეჟიმით, არსად არაფერი არ მოდის, ყოველივე ამ წარმატებების საფუძველი იყო ოჯახი, მისი შემქმნელ-შემოქმედნი და ბურჯები, ჩვენი იუბილარის აწ გარდაცვლილი მშობლები ქალბატონი – ფატი და ბატონი – აკაკი... ნათელში გვიმყოფოს ღმერთმა მათი სულები. მხოლოდ აქ და მხოლოდ მათ მიერ გაწეულმა უდიდესმა ძალისხმევამ, შესაძლებელი გახადა, რომ პატარა რევაზში ადრეული ასაკიდანვე გამოღვიძებულიყო და სასტარტო ხაზზე საბრძოლველად განფენილიყო კოლხი ფენომენისათვის დამახასიათებელი ყველა დადებითი გენი: – ღმერთისადმი შინაგანი და ღრმა რწმენის, შრომის კულტის, ზოგადად ადამიანებისადმი, განსაკუთრებით კი – ქართველისადმი უდიდესი სიყვარულის, გასისხლხორცება ერის, ქვეყნისად-

მი მსახურებისა და ა.შ.

ცხოვრების, საქმიანობის ის მონაკვეთი, რასაც სტუდენტობა ჰქვია, მე და ბ-ნმა რევაზმა, ასაკში არსებული განსხვავების გამო, ცალ-ცალკე გავასრულეთ. სტუდენტობის პირველი დღე, პირველი სექტემბერი დაუვიწყარია ყველასათვის და მათ შორის ჩემთვისაც და აი რატომ: – წარმოიდგინეთ უაღრესად თბილი, ამაღლებული და საზეიმო შეხვედრა „თეთრ ტაძარში" – უნივერსიტეტში ეკონომიკური ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებთან, შემდეგ საჩუქრების გადმოცემა და ნანატრი სტუდენტური ბილეთებისა და ჩათვლის წიგნაკების მიღება. ამ ამაღლებულ და დაუვიწყარ შეხვედრას, სტუდენტად კურთხევის ცერემონიალს, წარმართავდნენ და მონაწილეობას ღებულობდნენ ისეთი გამოჩენილი მეცნიერები, საზოგადოებრივი მოღვაწეები და ერის გამორჩეული შვილები, როგორებიც იყვნენ: – აკადემიკოსები: პ. გუგუშვილი, ირ. მიქელაძე, ვ. ჩანტლაძე; პროფ. ნ. ქოიავა, ს. ბერიძე, შ. ბერიძე, ნ. იაშვილი, კ. გაბუნია, ა. გოკიელი, გ. ჭანუყვაძე, ვ. ბახტაძე და სხვები.

შეხვედრის წამყვანმა, გამორჩეულმა პიროვნებამ, დიდმა მეცნიერმა და პედაგოგმა, ფაკულტეტის დეკანმა, პროფ. ნ. ქოიავამ და სიტყვაში გამომსვლელებმაც არა მხოლოდ ბევრი ლამაზი და თბილი სიტყვები გახარჯეს ჩვენს დასარიგებლად და გზის დასალოცად, არამედ იმაზედაც მიგვანიშნეს, თუ რა უნდა გვეკეთებინა, როგორ უნდა გვესწავლა, რომ მიგვეღო მაღალი პროფესიული განათლება, რათა შემდგომში გავმხდარიყავით საზოგადოების ღირსეული და წარმატებული წევრები. თავიანთ გამოსვლებში ჩვენი მხცოვანი და ახალგაზრდა პედაგოგები არა მხოლოდ გვიზიარებდნენ თავიანთ ცხოვრებისეულ გამოცდილებებს, არამედ იმაზედაც მოგვითხრობდნენ თუ რა წარმატებებს მიაღწიეს სწავლასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტივობით გამორჩეულმა ფაკულტეტის კურსდამთავრებულებმა როგორც პრაქტიკულ საქმიანობაში, ასევე სამეცნიერო ასპარეზზე. წარმატებულ კურსდამთავრებულთა პერსონალური ჩამონათვალი, ბუნებრივია, განსხვავებული იყო, მაგრამ ერთი გვარი და სახელი, და ამან მიიქცია ჩემი ყურადღება, ყველა გამომსვლელის სიტყვაში ფიგურირებდა – ეს სახელი და გვარი იყო – რევაზ გოგოხია! აი, ვისთვის უნდა მიგვებაძა, ვისზე უნდა გვქონებოდა სწორება!

აი, ასე გავიცანი „დაუსწრებლად", მე პირველი კურსის სტუდენტმა, იმ დროისათვის უკვე ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის წარმატებული ასპირანტი რევაზ გოგოხია!

გავიდა დრო, მეც გავხდი ასპირანტი. იმ დროს მოქმედი კანონმდებლობით, სადისერტაციო ნაშრომის დაცვისათვის აუცილებელი იყო კვლევის შედეგების გამოქვეყნება. პირველი სტატია წარვადგინე ჟურნალ „ეკონომისტი"-ს რედაქციაში, სადაც თურმე შეთავსებით მუშაობდა ბ-ნი რევაზი და ბედის წყალობით, ჩემი სტატია მის ხელთ აღმოჩნდა. ასე გარდაისახა ჩემი სტუდენტური ოცნება ამ პიროვნების გაცნობისა, რეალობად. ამ დღიდან იწყება ჩვენი ურთიერთობებიც, ისეთ სიბრტყეებზე, როგორიცაა: უფროსი და უმცროსი, ამხანაგი და მეგობარი, კოლეგები და თანამოაზრეები... დროის დინებამ ვერაფერი დააკლო და ვერც ვერაფერს დააკლებს ჩვენს სიყვარულს, ურთიერთ პატივისცემასა და ურთიერთ მორიდებას! პირიქით, იგი უფრო გაღრმავდა და განმტკიცდა, რასაც ლოგიკურად თან მოჰყვა ძმადშეფიცვა და მე, როგორც უმცროსი ძმა, ამ სტატუსით აღფრთოვანებული ვარ!

ამოუწურავია პროფ. რევაზ გოგოხიას საქმიანობა სამეცნიერო ფრონტზე, სტუდენტთა სასწავლო აუდიტორიებსა და ახალგაზრდა მეცნიერთა კადრების მომზადების საქმეში: – ასეულობით მეცნიერული, უაღრესად საჭირო და პრობლემური სტატია ქვეყნის ეკონომიკის აქტუალურ საკითხებზე, ათეულობით სხვადასხვა მიმართულების მონოგრაფიული გამოკვლევა და უაღრესად საჭირო სახელმძღვანელო თუ დამხმარე სახელმძღვანელო ქართველი სტუდენტებისათვის; ქვეყანაში, ალბათ, არაა არც ერთი უმაღლესი სასწავლებელი, სადაც ბ-ნი რევაზის მიერ აღზრდილი, გამოწრთობილი და მეცნიერებათა გზადალოცვილი პროფესიონალი ლექტორი არ მოღვაწეობდეს. მისი უშუალო ხელმძღვანელობით ეკონომიკის დარგში სამეცნიერო ხარისხი დაცული აქვს 30-მდე ასპირანტსა და მაძიებელს. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს იმის შესახებ, რომ პროფ. რ. გოგოხიას დიდი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება მნიშვნელოვნად წაადგა თსუ-ის სოხუმისა და ზუგდიდის ფილიალებს, სადაც იგი წლების განმავლობაში იყო კათედრის გამგე შეთავსებით.

აქ არაა იმის ადგილი და არც დრო, რომ ჩვენი იუბილარის მეცნიერული ნამოღვაწარი, თუნდაც ჩამოვთვალოთ, არაფერს ვამბობ მათი ყოველმხრივი ანალიზის შესახებ! – ეს მომავალ თაობებს გადავულოცოთ! საქართველოში ათასობით სწავლული და პრაქტიკოსი ეკონომისტი მოღვაწეობს, ყველამ იცის ვინ, რას წარმოადგენს, რა სიღრმისაა მისი მეცნიერული

გამოკვლევები. გყავდეს ასეთი რანგის უმაღლესი სპეციალისტი, როგორც პროფ. რ. გოგოხიაა და არასრულად იყენებდე მის პოტენციალს – რა უნდა ვუწოდოთ ამ „მოვლენას"? რას ემსახურება ეს? მე მხოლოდ ერთ რამეს დავძენ და ამაში დარწმუნებული ვარ, თქვენც დამეთანხმებით: – ღმერთმა ასე დააწესა – „ძაღლი უნდა ყეფდეს, ხოლო კატა უნდა კნაოდეს!", რომ „პანტას ვერასდროს ექნება უპირატესობა თურაშაულზე!" დაფიქრდით, „ძლიერნო ამა ქვეყნისანო" – რამე ხომ არ გამოგრჩათ? რამე ხომ არ გეშლებათ?.. მე აქ მხედველობაში მაქვს საქართველოსათვის საბედისწერო წლები, როცა „ლიბერასტ-ინტერნაციონალისტები" „დიდი რეფორმის" აბრით, ბარბაროსულად ხელყოფდნენ ყოველგვარ ქართულს, მათ შორის განსაკუთრებით უპირველეს ეროვნულ უნივერსიტეტს. პროფ. რევაზ გოგოხია უყოყმანოდ და აქტიურად ჩადგა მის დამცველთა რიგებში, რისთვისაც მასაც შეეხო რეპრესიები – 2006 წელს „ახლადდანიშნულ" პროფესორთა რიგებში ვერ მოხვდა... სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს! თუმცა, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მან მაინც არ დატოვა უნივერსიტეტი და პირველმა ეკონომისტ-ლექტორთა შორის, თავისივე შექმნილი პროგრამით, ეკონომიკის და ბიზნესის დოქტორანტებთან „აკადემიური წეირს" კურსის წაყვანა ითავა და საკმაოდ წარმატებულად გაართვა ამ ფრიად საპასუხისმგებლო საქმეს თავი.

ბატონი რევაზი არამხოლოდ ეკონომიკური მეცნიერების აღიარებული მკვლევარია, არამედ სახელმწიფო დონეზე, სამეურნეო საქმიანობის ორგანიზების წარმატებული მენეჯერიც. 90-იან წლებში, როცა ქვეყნის მმართველობაში ეროვნული მთავრობა მოვიდა, იგი სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის მინისტრის პირველ მოადგილედ განამწესეს. ჩვენ იუბილარს ეამაყება და უმდა იამაყოს კიდევაც იმით, რომ როცა ჩვენი ქვეყნის პირველ პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას მოახსენეს, რომ სამინისტროში არსებულ ვაკანსიაზე წარმოდგენილია რევაზ გოგოხიას კანდიდატურა, რომელიც პაატა გუგუშვილის მოწაფეაო და საჭირო მასთან გასაუბრება, პრეზიდენტის პასუხი ასეთი იყო: – „აკად. პაატა გუგუშვილის მოწაფესთან გასასაუბრებელი არაფერი მაქვს, წარმოადგინეთ ბრძანების პროექტი ხელმოსაწერადო!"

ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა წლების მანძილზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა საინფორმაციო ცენტრის სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელად. იგი როგორც ბრწყინვალე კალმოსანი, არის მრავალი მონოგრაფიის მეცნიერრედაქტორი, ასევე მას მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქართული ეკონომიკური ჟურნალისტიკის განვითარებაში. იგი ათი წელიწადი იყო მის მიერვე დაარსებული ჟურნ. „სოციალური ეკონომიკის" მთ. რედაქტორი და გამომშვები. დღეს კი საუნივერსიტეტო ჟურნ. „ეკონომიკა და ბიზნესის" მთ. რედაქტორია. იგი წლების განმავლობაში იყო სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, ასევე იგი საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრია. მას დიდად ეამაყება ის, რომ დიდი ივანე ჯავახიშვილის საიუბილეო მედლითაა დაჯილდოებული, ასევე ღირსების ორდენის კავალერიცაა.

სავსებით გამართლებულია ის გარემოება, რომ პროფ. რ. გოგოხია შეყვანილია ბოლო გამოცემის საქართველოს ენციკლოპედიაში (2012, ტ. 2), როგორც ღირსეული მოქალაქე – მეცნიერი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე.

დაბოლოს, ჩვენი იუბილარის ბრწყინვალება განსაკუთრებით მაშინ მძლავრობს, როცა საქმე, მხოლოდ ჩვენი ერისათვის დამახასიათებელ ფენომენს – ქართულ სუფრას ეხება. იგი ქართული სუფრის წარმართვისას სადღეგრძელოთა ისეთ ნაკრებს გვთავაზობს, რომლებშიც ჰარმონიულადაა წარმოდგენილი როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანობის სადიდებლები, ასევე თანამედროვეობით გაჯერებული ძველი ქართული ადათ-წესები და ნორმები. და ყოველივე ეს სიყვარულის, მეგობრობისა და ტრადიციული გრძნობების ნაზავი, ერთხელ კიდევ იწვევს მსმენელში ყოველივე ქართულისადმი როგორც სიამაყის გრძნობას, ასევე სიხარულის განცდის ამაღლებას და ამისთვისაც გაგიმარჯოს, ჩემო რევაზ! იდღეგრძელე, იხარე და გაგვახარე.

დაე, შენც, ჩვენც და ყველა ჭეშმარიტი ქართველი მოგვასწროს ღმერთმა იბერიის გაბრწყინებას!... ამინ!!!

როინ ქუტიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი
3.03.2016 წ.